განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„აგრონომია“
ბაკალავრიატი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

01.12.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.01.2021

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | აგრონომია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | აგრონომიის ბაკალავრი<br>BA of Agronomy |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მემცენარეობა და მეცხოველეობა - 0811 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული (2 წლით); აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №27 24.01.2019 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჯაფოშვილი - ენტომოლოგიის ინსტიტუტი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა წიკლაური - შპს „გლავსპირტპრომი", საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დეკანოიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას რეაკრედიტაციის შემდეგ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით - 24.01.2019, №27 მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.
პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი - 8 სემესტრი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი - 25 საათი). მათ შორის: 29 კრედიტი - თავისუფალი სასწავლო სავალდებულო კურსებისათვის. 146 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად (major) სპეციალობის სასწავლო კურსებისათვის, 40 კრედიტი - სავალდებულო მოდული, ექსტენცია და აგროგანათლებისათვის და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისათვის - 25 კრედიტი.
პროგრამას აქვს ორი დამატებითი პროგრამა, ესენია: 1. აგრონომია და 2. ექსტენცია და აგროგანათლება, რომლებიც, სხვა სპეციალობის სტუდენტებს, საშუალებას აძლევს აირჩიონ დამატებითი პროგრამები და მიიღონ თავიანთი სპეციალობისგან განსხვავებული ცოდნა.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს აგრონომიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც აქვს აგრონომიის ფართო თეორიული ცოდნა, შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირების შერჩევა და განხორციელება. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს აგრონომიის სფეროს შესწავლით წვლილი შეიტანოს აგრონომიის დარგის განვითარებასა და მოსახლეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციით უზრუნველყოფაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის დისტანციური შეფასება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა 2020 წლის 1 დეკემბერს. (ცენტრის დირექტორის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება, №1105412). ,,აგრონომიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეფასება განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან: ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან. განხილულ იქნა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები. შემუშავდა რეკომენდაციები, რჩევები. აღინიშნა საუკეთესო პრაქტიკა.
ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ

დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. 2019 წლის ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებულია. შეფასების ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და რჩევები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და საავრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა ,,აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა:
პირველი სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეორე სტანდარტი: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მესამე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეოთხე სტანდარტი: მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეხუთე სტანდარტი: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  1. საგანმანათლებლო პროგრამის XIII თავში, სწავლის შედეგების რუკაზე, 2 ცხრილი, უნდა დაკორექტირდეს და დონეებიც შესაბამისობაში მოვიდეს საგნებთან.
  2. შესწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის XV თავში, ცხრილი - პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები და სასწავლო გეგმა.
  3. სასწავლო გეგმაში უნდა შემცირდეს ექსტენციის და აგროგანათლების კრედიტები და მათ ნაცვლად შევიდეს სავალდებულოდ სპეციალობის საგნები, მაგ: ზოგადი ბიოლოგიის საგანი და ბიომრავალფეროვნება „აგრობიომრავალფეროვნების" საფუძვლებით.
  4. „ექსტენცია" როგორც ასეთი არ შეიძლება იყოს მაინორი, რადგან შესაბამისი საბაკალავრი პროგრამა არ არსებობს უნივერსიტეტში.
  5. პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში პრაქტიკა 1-სა და 2-ს სალექციო გრაფაში მითითებული აქვთ 30-30 საათი, რაც ვფიქრობთ შეცდომითაა გაპარული და გასასწორებელია.
  6. სწავლების და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა მოითხოვს კორექტირებას. და ცხრილში H, M, L შესაბამისად მაღალი, საშუალო და დაბალი უნდა დაკორექტირდეს შესაბამის შედეგებთან მიმართებაში.
  7. საგანი კალკულუსი უნდა ჩანაცვლდეს საგნით - ზოგადი სტატისტიკა და ეს საგანი გახდეს სავალდებულო.

8. საჭიროა ლაბორატორიების აღჭურვა მინიმუმ ერთი სტერეო მიკროსკოპით.
9. საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს რა დანახარჯებია და როგორაა იგი შესაბამისობაში პროგრამასთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამაში ჩანდეს თვალსაჩინოდ.

2. სასურველია უცხო ქვეყნის მოქალაქეეებს ქონდეთ ქართული ენის ცოდნის მინიმუმ B2 დონე.

3. სასურველია შეფასების კომპონენტი ლექციაზე აქტიურობა, რომელიც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დეტალურად იყოს განმარტებული.

4. სასურველია პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში პრაქტიკის საათები შემცირდეს.

5. ვფიქრობთ აგრომეტეოროლოგიის საგნის საკითხები მეტწილად მოცულია აგრონომიის საფუძვლებისა და აგროეკოლოგიის საფუძვლების საკითხებში.

6. სასურველია სილაბუსებში სალექციო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან და ნაკლებად იყოს საგნებს შორის თემატური გადაფარვა.

7. სასურველია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტებთან ერთად, უფრო მეტად იყვნენ ჩართული კვლევით პროექტებში, რაც ასახული უნდა იყოს შესაბამისი კვლევების შედეგებში.

8. სასურველია ყოველ პრაქტიკას ქონდეს უშუალო მონაწილეობითი ხასიათი.

9. სასურველია ხელმძღვანელებმა და ძირითადმა პერსონალმა გაააქტიუროს სამეცნიერო მუშაობა, რაც უნდა აისახოს იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებში.

10. სასურველია ძირითადი და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, რომლებიც ჩართულნი არიან ძირითადი სასწავლო კურსების სწავლების პროცესში იყოს უფრო ადექვატური, პროგრამის მდგრადობისათვის.

11. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფრო ყურადღებით აკვირდებოდეს კრედიტების განაწილებას, სილაბუსების შემუშავებას, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

**ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ერთერთი პრიორიტეტული დარგი სოფლის მეურნეობაა, დასაქმების სფეროს მოთხოვნები, კერძო ფერმერული მეურნეობები და აგრარული სფეროს კვალიფიციური კადრის სიმცირე უნივერსიტეტს გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს, რაც აისახება უნივერსიტეტის მისიასა და აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში.<br>პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც აღწერს თუ რა ტიპის სპეციალისტს მოამზადებს.<br>აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს აგრონომიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც აქვს აგრონომიის ფართო თეორიული ცოდნა; შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირების მეთოდების შერჩევა და განხორციელება. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს აგრონომიის სფეროს შესწავლით წვლილი შეიტანოს აგრონომიის დარგის განვითარებასა და მოსახლეობის ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციით უზრუნველყოფაში.<br>პროგრამა სტუდენტს უვითარებს იმ უნარ-ჩვევებს, რომელსაც გამოიყენებს დასაქმებისას, ან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების დროს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები<br>○ უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია;<br>○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>○ სჯსუ-ს ინტერნაციონალიზაციის კონცეფცია;<br>○ სჯსუ-ს ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge<br>○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან |

- ○ პროგრამის ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

სოფლის მეურნეობაში ექსტენციის დანერგვისა და განვითარების პროცესში მონაწილეობა, რომელიც რეგიონისათვის მნიშვნელოვანია.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას, კერძოდ - საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი უნარები:

ცოდნა და გაცნობიერება:

1. სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების შესახებ ფართო ცოდნა;

2. აგრარულ სფეროში მომუშავე სტრუქტურების საწარმოო პროცესების, დაგეგმვის, ორგანიზებისა და მართვის შესახებ ფართო ცოდნა; აგრარული ბიზნესის მენეჯმენტის შეფასების შესახებ ცოდნა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის.

უნარი:

1. შეძლებს: ნიადაგისა და მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორების რეგულირებას; ნაკლები დანახარჯებით ეკოლოგიურად უსაფრთხო მაღალი მოსავლის მიღებას; დაგეგმოს და განახორციელოს გარემოზე დამზოგი ზემოქმედებით არაორგანული და ორგანული სასუქების გამოყენების ღონისძიებები; სასუქების ნორმების, ფორმების, ხერხების და ვადების მითითებით შეიმუშავოს განოყიერების სისტემები.

2. დაგეგმოს და განახორციელოს ნიადაგდაცვითი ღონისძიებები მემცენარეობის და მეცხოველეობის მიმართულებების ფერმერულ მეურნეობებში; ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირებას, მათთვის აგროტექნოლოგიების შერჩევას და განხორციელებას; მეცხოველეობისთვის საკვების წარმოებას, ნიადაგისა და მცენარეთა დაცვას; შეძლებს შეძენილი დარგობრივი ცოდნის გამოყენებით, აგრონომიაში არსებული პრობლემების ანალიზს და შეფასებას, მიღებული შედეგების შეჯერებას და შესაბამის დასკვნის გაკეთებას;

3. ახდენს ერთწლიან და მრავალწლოვან კულტურათა, სათესლე და სარგავი მასალების გამოყვანას, თესვა-რგვის და მოვლითი სამუშაოებისთვის შესაბამისი, თანამედროვე ორგანული სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების შერჩევას და განხორციელებას, მოსავლის აღების შემდგომ მართვას.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, განსაზღვრული პერიოდულობით. ასევე გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს ბაკალავრებმა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას მოახდენენ პროგრამის ხელმძღვანელები ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან, პროგრამის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, ბაკალავრებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელებთან და დამსაქმებლებთან ერთად.

სჯსუ-ს აგრონომიის საბაკალვრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება

| |
|---|
| პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს; პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.<br><br>აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები, აკადემური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. მათი მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება. პროგრამის შედგენისას სრულად იყო ჩართული აკადემიური პერსონალი, კერძოდ როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პროგრამის ხელმძღვანელებმა განსაზღვრეს პროგრამის ჩარჩო და სასწავლო გეგმა, ხოლო შემდგომ თითოეული საგნის პედაგოგი მოერგო ჩარჩოს მოთხოვნებს და განსაზღვრეს მათი საგნისთვის საჭირო საათები და კრედიტები.<br>პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.<br>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული მახრეების (აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების) გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზით. საჭიროების შემთხვევაში კეთდება რეკომენდაციები, რაც ასევე ემსახურება პროგრამის განვითარებას.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩვენ გაგვიჭირდა დაგვედგინა დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამაში, თუმცა ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზში დამსაქმებელი ფიგურირებს, მაგრამ არ ჩანს რომელ პროგრამაზეა საუბარი. დასაქმების ბაზარზე საბაკალავრო პროგრამის ორიენტირებულობის გასაზრდელად უნდა ხდებოდეს დამსაქმებელთა რეგულარული გამოკითხვა დარგის მიხედვით და ამ გამოკითხვებით, დგინდებოდეს თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა. საჭიროა დამსაქმებლებთან ინტენსიური კონტაქტი.<br>ინტერვიუირებისას ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია დამსაქმებელთან ერთად მხარდაჭერას უცხადებს პროგრამას და მზადაა შექმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და პროგრამის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი დასაქმების შრომის ბაზარზე, რაც ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე.<br>საგანმანათლებლო პროგრამის XIII თავში მოცემულია 2 ცხრილი, რომლის შედეგებიც ერთმანეთს აცილებულია, შესაბამისად მოითხოვს სინქრონიზაციას და დონეებიც შესაბამის კორექტირებას. კერძოდ ერთ შემთხვევაში მონიშნულია შედეგი, ხოლო მეორე შემთხვევაში სწავლის დონეები, რაც შესაბამისობაშია მოსაყვანი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგები; |

| |
|---|
| 🗆 პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;<br>🗆 სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;<br>🗆 შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>🗆 პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>🗆 გამოკითხვის შედეგები;<br>🗆 სჯსუ-ს ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის XIII თავში, სწავლის შედეგების რუკაზე, 2 ცხრილი, უნდა დაკორექტირდეს და დონეებიც შესაბამისობაში მოვიდეს საგნებთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამაში ჩანდეს თვალსაჩინოდ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის | ✓ | | | |

| შესაბამისობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი, რომ აგრონომიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, ან არის მასთან გათანაბრებული პირი (საქართველოს მოქალაქე), და რომელმაც ჩააბარა  ერთიანი ეროვნული გამოცდები და სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია. პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურ ენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის წესი შესაბამისია კანონმდებლობასთან. იგი მოითხოვს ქართული ენის ცოდნას B1+/B2. თუმცა საეჭვოა B1 ცოდნის დონე საკმარისი იყოს სალექციო კურსების გასაგებად.

პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. აგრონომიის სპეციალობაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შიდა მობილობა ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაზე მიღების წინაპირობები (დანართი 1);
- საგანამანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები (დანართი 19);
- ვებგვერდი, www.sjuni.edu.ge

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია უცხო ქვეყნის მოქალაქეეებს ქონდეთ ქართული ენის ცოდნის მინიმუმ B2 დონე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია სჯსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მოდულები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. ძირითადად სასწავლო კურსები ისეა აგებული, რომ თითოეული სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები გამომდინარეობს პროგრამის მიზნიდან და შეესაბამება სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდები ინტერაქტიულია და განაპირობებს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტი აღებულია პრაქტიკულ/სამუშაო

| |
|---|
| ჯგუფში მუშაობაზე. შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და მორგებულია სტუდენტთა ფართო ინტერესებზე.<br>აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან და ასევე, სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის კომპონენტები თანმიმდევრულია და დაშვების წინაპირობები და პროცესებიც ლოგიკურია. პროგრამა განსაზღვრულია სტუდენტების სასწავლო დატვირთვით ECTS კრედიტებით (1 კრედიტი - 25 სთ.). პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს.<br>აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება:<br>სავალდებულო სასწავლო კურსები - 175 კრედიტი (მათ შორის: პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 2 – 14 კრედიტი; საბაკალვრო ნაშრომი - 10 კრედიტი);<br>სავალდებულო მოდული - ექსტენცია და აგროგანათლება - 40 კრედიტი;<br>თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი.<br>პროგრამა სხვა სპეციალობის სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ დამატებითი (minor) პროგრამები:<br>1. აგრონომია;<br>2. ექსტენცია და აგროგანათლება.<br>ექსტენცია და აგროგანათლება ჩაშენდა, როგორც ძირითად პროგრამაში მოდულად, ასევე, გამოიყო დამატებით (Minor) პროგრამად, რომლის არჩევის შესაძლებლობა მიეცემა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სხვა პროგრამის სტუდენტებსაც.<br>თუმცა არის გარკვეული ხარვეზები: საგანმანათლებლო პროგრამის XV თავში, ცხრილი - პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები და სასწავლო გეგმა, შესასწორებელია, რადგან თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია 29 კრედიტი, 725 საათი, ხოლო ცხრილში განაწილებული არის 30 კრედიტი, 750 საათი, ასევე, თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია 25 კრედიტი, 625 საათი, ცხრილში კი არის 53 კრედიტი, 1325 საათი.<br>მიგვაჩნია, რომ მოდული ექსტენციას არამიზნობრივად ეთმობა კრედიტები (40 კრედიტით), მაშინ როდესაც დარგობრივი მიმართულებების საგნები უგულებელყოფილია. მასში არის საგნები, რომლებიც კავშირში არაა პროგრამასთან. მაგ. 34,35,37. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ გარკვეული საგნების ინტეგრირება იქნებოდა მიზანშეწონილი პროგრამაში. მსგავსი რეკომენდაცია იყო წინა ვიზიტისასაც. ამ შემთხვევაში დამატებით პროგრამად (minor) დარჩება მხოლოდ აგონომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>○ აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამა; კურიკულუმის რუკა, სილაბუსები<br>○ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; |

- გამოკითხვის შედეგები;
- ვებგვერდი www.sjuni.edu.ge ;

**რეკომენდაციები:**

o შესწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის XV თავში, პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები და სასწავლო გეგმა.

o სასწავლო გეგმაში უნდა შემცირდეს ექსტენციის და აგროგანათლების კრედიტები და მათ ნაცვლად შევიდეს სავალდებულოდ სპეციალობის საგნები.

„ექსტენცია“ როგორც ასეთი არ შეიძლება იყოს მაინორი, რადგან შესაბამისი საბაკალავრი პროგრამა არ არსებობს უნივერსიტეტში, ხოლო სწავლის სფეროების კლასიფიკატორი პირდაპირ განსაზღვრავს შემდეგს: „4. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში“ (გვ. 66).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს

აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურის აღმწერს, პროგრამის სწავლის შედეგებს. კრედიტების რაოდენობა მეტწილად შეესაბამება კურსის შინაარს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა უმეტესწილად ლოგიკურია და გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკაც. ძირითადად სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში ზოგჯერ ხდება სალექციო კურსის შინაარსის (აგრონომიის საფუძვლები, აგროეკოლოგიის საფუძვლები, აგრომეტეოროლოგია, აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობა, ორგანული სოფლის მეურნეობა და ა.შ.), ასევე სალექციო კურსის და სამუშაო ჯგუფის/პრაქტიკულის, გადაფარვა, რაც მოითხოვს პედაგოგის და პროგრამის ხელმძღვანელების უფრო მეტ ყურადღებას სილაბუსების შედგენისას, ასევე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებას სილაბუსების განხილვის დროს და შესაბამის რეაგირებას.
პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში პრაქტიკა 1-სა და 2-ს სალექციო გრაფაში მითითებული აქვთ 30-30 საათი, რაც ვფიქრობთ შეცდომითაა გაპარული და გასასწორებელია. ამასთან 7-7 კრედიტის მინიჭება ამ საგნებისთვის ბევრია, მითუმეტეს, რომ საველე პრაქტიკა კიდევ ცალკეა 7 კრედიტით. ამასთან საგნების უმეტესობას, რომელთა საკითხებიცაა ამ პრაქტიკული კურსების განხილვის საგანი, გააჩნიათ საკუთარი ჩაშენებული პრაქტიკის საათები. საგანი „კალკულუსი" ვერ პასუხობს დარგის მოთხოვნებს (ძირითადი ნაწილი კურსისა ფუნქციებს ეთმობა, რაც პროგრამისთვის არაა მნიშვნელოვანი), უმჯობესია მისი ჩანაცვლება სავალდებულო ზოგადი სტატისტიკის საგნით. ვინაიდან აგრონომია ბიოლოგიის დარგის საგნებთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია, მიგვაჩნია, რომ ზოგადი ბიოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების საკითხები ბაკალავრიატის ამ პროგრამის სტუდენტებმა სათანადოდ უნდა იცოდნენ. ვფიქრობთ აგრომეტეოროლოგიის საგანის საკითხები მეტწილად მოცულია აგრონომიის საფუძვლებისა და აგროეკოლოგიის საფუძვლების საგნებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები (დანართი 1)
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- სჯსუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში პრაქტიკა 1-სა და 2-ს სალექციო გრაფაში მითითებული აქვთ 30-30 საათი, რაც ვფიქრობთ შეცდომითაა

გაპარული და გასასწორებელია.

საგანი კალკულუსი უნდა ჩანაცვლდეს საგნით - ზოგადი სტატისტიკა და ეს საგანი გახდეს სავალდებულო.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

o სასურველია პროგრამის სტრუქტურასა და კრედიტების ცხრილში პრაქტიკის საათები შემცირდეს.

o სასურველია დაემატოს ზოგადი ბიოლოგიის საგანი და ბიომრავალფეროვნება „აგრობიომრავალფეროვნების" საფუძვლებით

o სასურველია ამოღებულ იქნას აგრომეტეოროლოგიის საგნის საკითხები, ვინაიდან იგი მეტწილად მოცულია აგრონომიის საფუძვლებისა და აგროეკოლოგიის საფუძვლების საგნებში.

სასურველია სილაბუსებში სალექციო კურსები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან და ნაკლებად იყოს საგნებს შორის თემატური გადაფარვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევის და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლის შედეგების შესაბამისად.
პრაქტიკის კომპონენტი გამჭოლად გასდევს პროგრამას, რაც გულისხმობს

| |
|---|
| სტუდენტის ჩართვას პრაქტიკულ საველე აქტივობებში.<br>პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ორი ფორმატით: კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები.<br>**კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა** ინტეგრირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში და ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი (იხ. შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები).<br>ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პრაქტიკის დღიურები აჩვენებს რას შეეხებოდა თითოეული მეცადინეობა, რა ცოდნა და რა სახის შედეგი მიიღო სტუდენტმა აღნიშნული მეცადინეობის შემდეგ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○  სილაბუსები<br>○  აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი<br>○  ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>○ ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>o სასურველია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტებთან ერთად, უფრო მეტად იყვნენ ჩართული კვლევით პროექტებში |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების |

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აგრონომიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები ეფუძნება კონსტრუქციულ მიდგომებსა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას.
სწავლება ინტერაქტიული ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული მუშაობების და პრაქტიკის ადგილზე (აგრარული მიმართულების საწარმო ორგანიზაცია-დაწესებულებები) ვიზიტების ფორმატში ხორციელდება. სასწავლო კურსით გათვალისწინებული თეორიული მასალის განმტკიცება ხდება სემინარებზე, ხოლო, თეორიული ცოდნის პრაქტკაში გამოყენება უშუალოდ პრაქტიკის ადგილებზე.
ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში პრაქტიკას დათვალიერების ხასიათი ქონდა, შესაბამისად საჭიროა ამ ხარვეზის გამოსწორება და უფრო მეტი ჩართულობა.
სხვადასხვა კურსის ფარგლებში, მისი მიზნების, შინაარსისა და ფორმატის გათვალისწინებით, გამოიყენება დისკუსია და დებატები, სიტუაციის ანალიზი (Case Study), პრეზენტაცია, პროექტებით სწავლება, ლაბორატორიული მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, უკუკავშირის მეთოდები და სხვ. სწავლების და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკაზე, ცხრილში H, M, L შესაბამისად მაღალი, საშუალო და დაბალი, რა პრინციპითაა განაწილებული, მაგ. L აქვს მხოლოდ მე-2 სწავლის შედეგებში რეფერატით სწავლებას და მე-3 სწავლის შედეგებში ელექტრონული რესურსებით სწავლებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

სწავლების და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა მოითხოვს კორექტირებას. და ცხრილში H, M, L შესაბამისად მაღალი, საშუალო და დაბალი უნდა დაკორექტირდეს შესაბამის შედეგებთან მიმართებაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| სასურველია ყოველ პრაქტიკას ქონდეს უშუალო მონაწილეობითი ხასიათი.<br>სწავლების და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკაზე, |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
